

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 1 იანვრიდან
დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შედგება 8 წევრისაგან.

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

კომისიის წევრები: აკაკი იმნაიშვილი, ამირან გიგინეიშვილი, იოსებ ჩხაიძე, ციციწო ჩხაიძე, გიორგი ჩახვაძე , ზურაბ კუკულავა და დავით ჩხარტიშვილი.

წარმოგიდგენთ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის ანგარიშს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან დღემდე კომისიას ჩატარებული აქვს 8 სხდომა. სხდომებზე მოხდა, როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე საკითხების განხილვა. დამტკიცებულია საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა. კომისიამ როგორც მერიის სამსახურებიდან, ასევე საკრებულოს სხვა კომისიებიდან ინიცირებული პროექტები განიხილა, შეისწავლა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

- კომისია აქტიურად იყო ჩართული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესში და არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა აღნიშნული პრობლემური საკითხის სწორად წარმართვის მიზნით. .
- კომისია მნიშვნელოვნად მიიჩნევს სოციალურ საკითხებს, ამ კუთხით არაერთი წინადადება და რეკომენდაცია შეუმუშავებია ბიუჯეტში ცვლილებების კუთხით, ასევე აქტიურად მონაწილეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის

ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის შემუშავების პროცესში, რომ უფრო ხელმისაწვდომი გაეხადა ის სიკეთეები რაც სოციალური პროგრამებით არის გათვალისწინებული ბენეფიციარებისთვის.

- კომისია გამჭვირვალობისა და ეფექტურობის პრინციპიდან გამომდინარე აქტიურად მონაწილეობდა, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნის საფუძველზე საკრებულოს მიერ მომზადებული შესაბამისი განკარგულების პროექტის განხილვაში, რომელიც ეხებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის, ბიუჯეტის შესრულების კანონიერების მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის შეფასების მიზნით აუდიტის მოწვევას.
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ძირითადი საქმიანობა ეხებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს, რაც უმეტესად განპირობებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების, ასევე ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით. კომისიამ ასევე შეისწავლა ბიუჯეტში თანხების შიდა მონაცვლეობის აუცილებლობის მიზანშეწონილობა.

კომისიის მიერ განხილული იქნა ასევე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი და შუამდგომლობები გაეწია კომისიაში შემოსულ ათობით განცხადებას.

კომისია ორიენტირებულია მაღალ შედეგებზე და ასევე მოქალაქეების ინფორმირებასა და აქტიურ ჩართულობაზე, რათა მუნიციპალიტეტის ისეთმა მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა, რომელიც არის ბიუჯეტი ასახოს მოქალაქეების აუცილებელი მოთხოვნილებები.

კომისია გეგმავს აღმასრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობის კუთხით მათი სამსახურებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენას, მათი მხრიდან მაღალი შედეგების მიღწევის მიზნით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე:

ალექსანდრე მახათაძე

კომისიის თავმჯდომარე
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია